

კავკასიის ფრანგული დღიური

ფრანგულ-ქართულ ურთიერთობას საკმაოდ დიდი ისტორია აქვს, რასაც განსხვავებული პოლიტიკური თუ სოციალური შრე გააჩნია, თუმცა, მისი ერთ-ერთი უმთავრესი შემადგენელი ნაწილი ლიტერატურული ურთიერთობები და გავლენებია. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტი – „ფრანგები საქართველოში და ფრანგული ლიტერატურის რეფლექსია მე-17 – მე-20 საუკუნის დასაწყისის ქართულ კულტურულ სივრცეში“, მეტ-ნაკლებად, სამივე სფეროს ეხება, მაგრამ „კავკასიის ფრანგული დღიურის“ ძირითადი თემა მაინც ლიტერატურაა. წიგნი პირობითად, სამ ნაწილად არის გაყოფილი. პირველი ნაწილი, რომელიც საკითხის დასმას ეძღვნება, ორი სტატიისგან შედგება: პირველია „ფრანგული კულტურისა და ლიტერატურის რეფლექსია მე-17 – მე-20 საუკუნის დასაწყისის ქართულ კულტურულ სივრცეში. საარქივო მოკვლევის პერსპექტივები“ (ირმა რატიანი, რუსუდან თურნავა, გაგა ლომიძე, ალექსანდრ სტროვეი). იგი ქართულ-ფრანგული ურთიერთობების მიმოხილვას წარმოადგენს და გვიჩვენებს მისი განვითარებისა და გაღრმავების სხვადასხვა ეტაპებს. სულხან-საბა ორბელიანით დაწყებული, რომლის მიზანდასახულობა საფრანგეთში გამგზავრებისა, უპირველეს ყოვლისა, პოლიტიკური გახლდათ და მართალია ეს მიზანი შეუსრულებელი აღმოჩნდა, მაგრამ სწორედ ამ მოგზაურობამ საფრანგეთსა და იტალიაში ქართულ ლიტერატურაში ახალი ტენდენციების დამკვიდრებას მისცა ბიძგი; შემდგომში ფრანგი მოგზაურების, მისიონერების, სამხედრო პირების საქართველოში ჩამოსვლამ, ფრანგი მენარმეების მცდელობამ ეკონომიკური საქმიანობის წამოწყებისა, ხელი შეუწყო, რათა მეცხრამეტე საუკუნის ქართული არისტოკრატისთვის ფრანგული ენა და კულტურა ახლობელი და მეტიც, მოდურიც კი გამხდარიყო. ამას ემთხვევა სალიტერატურო-მთარგმნელობითი მუშაობაც. აქტიურად ითარგმნება ფრანგი მწერლები. სტატიაში საგანგებოდ არის აღნიშნული ფრანგული ლიტერატურისა და კერძოდ დრმატურგიის როლი ქართული თეატრის და ორიგინალური დრმატურგიის ჩამოყალიბებაში. ქართულ სინამდვილესთან მეტად ადაპტაციის მიზნით, ხშირად ხდებოდა, რომ ორიგინალის პირდაპირი თარგმანის ნაცვლად, მისი გადმოქართულება – „გადმოკეთება“ ხდებოდა, რათა ქართველი მკითხველისთვის უფრო მეტად აქტუალური და ახლობელი გამხდარიყო ესა თუ ის პიესა. მე-19 საუკუნის ქართულ პრესაში უამრავი ცნობაა შემონახული საქართველოში ფრანგი მოგზაურებისა თუ სხვა პირების სტუმრობის შესახებ, ასევე რეკლამირება ხდება ფრანგული ლიტერატურული ნაწარმოებების ქართული თარგმანებისაც. სა-

განგებოდ არის ხაზგასმული ის ფაქტი, რომ ფრანგული ენის პოპულარიზაციის კვალდაკვალ შემორჩენილია ფრანგულად დანერგილი უმარავი სხვადასხვა შინაარსის წერილი. ყურადღება ექცევა საარქივო მასალების კვლევის საკითხს, რომელიც ძალიან დიდი მოცულობისაა და მოიცავს როგორც ქართულ, ისე საფრანგეთისა და რუსეთის არქივებში დაცულ მასალებს, რომელთა ნაწილიც ნაკლებადაა შესწავლილი ან ჯერ კიდევ არ არის მოძიებული. პროექტის ფარგლებში განეული სამუშაო არა მარტო ქართული კულტურისთვის არის მნიშვნელოვანი, არამედ ფრანგულისთვისაც. ამის დასტურია ქართულ არქივში აღმოჩენილი სამი ფრანკმასონური ტრაქტატი, რომელიც ცალკე კვლევის საგანი შეიძლება გახდეს.

მეორე სტატიაში, რომელიც წიგნის პირველ ნაწილში შედის და რომლის სათაურია „კავკასია ფრანგ მხატვრების მოგონებებსა და ნახატებში“ (რუსუდან თურნავა; ნინო გაგოშაშვილი) თავდაპირველად მოკლედ არის მოთხრობილი ზოგადად მოგზაურობის ჟანრის ისტორიასა და მნიშვნელობაზე. შემდგომ საუბარი შეეხება ამ ჟანრის ფრანგულ ტრადიციას, რომელიც XIII საუკუნიდან იღებს სათავეს. არც ფრანგთა უშუალოდ საქართველოში მოგზაურობებს აქვს პატარა ისტორია, კერძოდ, XVII-XVIII საუკუნეებში საქართველოში იმოგზაურეს დებრევემა, ანდრე დულიე დელანდმა, ფრანსუა კარემ, მამა ფილიპ ავრილმა და სხვებმა. მათ დაგვიტოვეს ჩანაწერები რომლებშიც მოთხრობილია ქართული მოსახლეობის ადათ-წესების, ჩაცმულობის, მონასტერთა რაოდენობის შესახებ ცნობები, ასევე პირადი შთაბეჭდილებები და თავს გადახდენილი ამბები. მეცხრამეტე საუკუნიდან მოგზაურთა რიცხვი კიდევ უფრო გაიზარდა. საქართველოს სტუმრობდნენ მოგზაური-მკვლევრები, მწერლები და მხატვრები. ფრანგ მხატვართა შორის აღსანიშნავია ანრი ფარამონ ბლანშარი, ემილ-ფრანსუა დე სენი, და ჟან-პიერ მუანე, რომელთაც თავიანთ ნამუშევრებზე აღბეჭდილ საქართველოსთან ერთად, შემოგვინახეს პირადი ჩანაწერებიც, რომელიც ასევე მნიშვნელოვან ეთნოგრაფიულ და სხვა სახის ცნობებს შეიცავს. სტატიაში მიმოხილულია ამ მხატვართა ბიოგრაფიები და ის, თუ როგორ მოხვდნენ ისინი კავკასიასა და კერძოდ საქართველოში. მოხმობილია ცნობები მათი საქართველოს თემაზე შესრულებული ნამუშევრების ადგილსამყოფელის შესახებ. ასევე ვრცლად არის საუბარი ჟან-პიერ მუანეს წიგნზე, რომელმაც ალ. დიუმასთან ერთად იმოგზაურა კავკასიაში და დიუმას მსგავსად, მანაც აღწერა საკუთარი შთაბეჭდილებები. ისინი საქართველოში რუსეთიდან ჩამოვიდნენ და მათ ჩანაწერებში მოხვდა ცნობები არა მარტო საქართველოს, არამედ ჩრდილო კავკასიის შესახებაც. ცალკე აღნიშვნის ღირსია მუანეს მიერ აღწერილი თბილისი, თავისი ვინრო ქუჩებით, სახელოსნოებითა და აბანოებით. მის წიგნში მეცხრამეტე საუკუნის თბილისს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. ასევე, ავტორი საქართველოს სხვა მხარეებსაც აღწერს. ცალკე საუბრის თემაა უშუალოდ ალ. დიუმას „კავკასია“, რომელსაც ავტორები გვერდს ვერ აუვლიდნენ.

უნდა აღინიშნოს, რომ ზემოთ ჩამოთვლილი ფრანგი მხატვრების მოგზაურობათა ამსახველ ჩანაწერებში, საქართველო არ არის აღწერილი, როგორც მხოლოდ ეგზოტიკური მხარე, არამედ, შეძლებისდაგვარად, ობიექტურად არის გადმოცემული იმდროინდელი ქვეყნის პრობლემებიც, რამდენადაც ეს მოგზაურს შეიძლება თვალში მოხვედროდა.

აქ სრულდება „კავკასიის ფრანგული დღიურის“ მიმოხილვითი ნაწილი, რომელიც მკითხველს ამზადებს წიგნის შემდეგი მეორე და მესამე ნაწილებზე გადასასვლელად. რაც უკვე უშუალოდ ორიგინალურ ტექსტებს მოიცავს. კერძოდ, მეორე თავში შესულია ზევით ნახსენები მხატვრების – ჟან პიერ მუნიესა და ა. ფ. ზლანშარის მოგონებები: „ვოლგა და კავკასია ალექსანდრე დიუმასთან ერთად“ (მთარგმ. თათია ობოლაძე) და „მოგზაურობა ტფილისიდან სტავროპოლამდე დარიალის ხეობის გავლით 1858“ (მთარგმ. ნინო გაგოშაშვილი). უნდა აღინიშნოს, რომ ეს და სხვა მსგავსი ტექსტები დღეს არანაკლებ აქტუალურია, ვიდრე მათი დაწერის დროს იყო, ვინაიდან ახლაც საინტერესოა, რა ადგილი უჭირავს კავკასიასა და, კერძოდ, საქართველოს ევროპელი ინტელექტუალისა და შემოქმედის მენტალურ რუკაზე.

წიგნის ბოლო, მესამე ნაწილი, რომლის სათაურია „კავკასია ფრანგულ მოგონებებსა და წერილებში“ შესულია ფრანგულ ენაზე შესრულებული პირადი წერილები, რომლებიც ქართულ არისტოკრატიას ეკთუთვნის და სხვადასხვა თემატიკისა და მიზანდასახულობისაა. აღსანიშნავია, რომ მათი არქივებში მოძიება და გაშიფვრა სწორედ აღნიშნული პროექტის ფარგლებში მოხდა. წერილების ადრესატია ეკატერინე მიხეილის ასული ერისთავი, რომელიც გამორჩეული იყო საზოგადოებრივ ასპარეზსა და საქველმოქმედო საქმიანობაში. მისი შორეული მოგზაურობები მოიცავდა ევროპისა და აზიის მრავალ ქვეყანას. შინაარსობრივი თვალსაზრისით, წერილები იყოფა სამ ჯგუფად: ოჯახური, მეგობრული და საზოგადოებრივი. უნდა აღინიშნოს, რომ წერილები შესრულებულია გამართული ფრანგულით, აქ ვერ ვხედავთ რაიმე გრამატიკულ შედომას, რაც იმის მტკიცებულებაა, თუ რამდენად მაღალ დონეზე ისწავლებოდა ფრანგული ენა მეცხრამეტე საუკუნის ქართულ არისტოკრატიაში. „კავკასიის ფრანგული დღიურის“ ერთ-ერთი უმთავრესი ღირსება სწორედ წიგნის მესამე ნაწილია, ვინაიდან, აღნიშნული წერილები პირველად ქვეყნდება. ჩვენს წინაშეა, როგორც ტექსტების ქართული თარგმანები, ისე იქვე დართული ფრანგული ორიგინალებიც.

„კავკასიის ფრანგული დღიური“ საყურადღებო და გამოსადეგია არა მხოლოდ იმ მკვლევრებისთვის, რომლებიც ქართული კულტურით არიან დაინტერესებულნი, არამედ სტუდენტებისა და მკთხველთა ფართო წრისთვისაც.

Archil Tserediani
(Georgia)

French Diary on Caucasus

Summary

Key words: “Georgian-French Diary”, Review.

Main issue of “Georgian-French Diary” is Georgian-French literary and cultural relationships. Conditionally the book is divided into three parts. First part, dedicated to stating of the issue consists of two articles: the first is “Reflection of French Culture and Literature in Georgian Cultural Space of the Period from 17th to early 20th century” (Irma Ratiani, Rusudan Turnava, Gaga Lomidze, Alexander Stroevev). It is the overview of Georgian-French relationships and shows different stages of their development and deepening. Title of the second article is “Caucasus in the Memories and Pictures of the French Artists” (Rusudan Turnava, Nino Gagoshashvili). It tells about travel of French artists Henry Pharamond Blanchard, Emile Francois Dessain, Jan-Pierre Moynet in Georgia. Further there is expanded overview of Moynet’s book. He travelled in Georgia together with Alexandre Dumas and similar to Dumas, he described his impressions as well. They arrived to Georgia from Russia and their records contain data not only about Georgia but about North Caucasus as well. We should particularly admit Moynet’s description of Tbilisi with its narrow streets, shops and bathes. It should be noted that in the records describing journeys of the listed French artists Georgia is not presented as an exotic land, rather, its description is unbiased, as far as possible, there are mentioned the problems of the country of that period, as this could be seen by the travelers.

Here ends the overviewing part of the “French Diary of Caucasus”, preparing the readers for proceeding to the second and third parts, containing the original texts. In particular, chapter two contains memories of the above mentioned artists Jan-Pierre Moynet and A.P. Blanchard: “Volga and Caucasus together with Alexandre Dumas” (translated by Tatia Oboladze) and “Travel from Tiflis to Stavropol through Dariali Gorge 1858” (translated by Nino Gagoshashvili). It should be noted that this and other similar texts are of no less significance now than at a time of their writing as it is interesting what is the place of Caucasus, particularly Georgia, on the mental map of the European intellectual and artist.

The last, third part of the book, titled “Caucasus in French Memories and Letters” contains personal letters written in French belonging to Georgian aristocracy, about different issues and for different intentions. It should be noted that their seeking in the archives and their decoding was provided within the scopes of the mentioned project.

“French Diary of Caucasus” is important and useful not only for the researchers interested in Georgian culture, but for the students and wide audience as well.